პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 96 (10182) | შაბათი, 23 აპრილი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს კომუნისტური პარტიისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. სურათზე: სხდომის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ლ ე ნ ი ნ ი ს დ რ ო შ ი თ

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

მოსკოვის მშრომელებმა, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხმა, მთელი დედამიწის უბრალო ადამიანებმა ზეიმით აღნიშნეს კომუნისტური პარტიის გენიალური დამაარსებლისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის, მთელი მოწინავე კაცობრიობის ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავი.

22 აპრილს ყველა საბჭოთა, ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შენობებზე, რკინიგზის სადგურებზე, სანაოსნო ნავსადგომებზე, ვაგზლებზე, სსრ კავშირის სამხედრო და სავაჭრო ფლოტის გემებზე, საცხოვრებელ სახლებზე აღმართული იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალამი.

ამ დღეს ხალხთა სხვადასხვა ენაზე ყველგან განსაკუთრებული გულთბილობით და გულითადობით წარმოთქვამენ ნათელ სახელს: ლენინი.

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში სიტყვა ლენინი გაისმის როგორც სიმბოლო ახალი, სოციალისტური, სასიხარულო და ნათელი საზოგადოებისა, რომელიც რევოლუციურ ბრძოლებში იბადება და ბედნიერება მოაქვს ადამიანებისათვის.

...აპრილის მსუბუქი ნიავი არხევს წითელ ალმებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის შენობებზე. საზეიმოდ არის მორთული სსრ კავშირის დიდი თეატრი. სცენის სიღრმეში, სსრ კავშირის სახელმწიფო ალმის ფონზე, მოკავშირე რესპუბლიკათა დროშებსა და ცოცხალ ყვავილებში ჩასმულია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ვეებერთელა სკულპტურული პორტრეტი. ორივე მხარეზეა ციფრები: „1870-1955“. ელექტრონათურების ოქროსფერი ასოებით აღბეჭდილია საბრძოლო ლოზუნგი:

გაუმარჯოს ლენინიზმის ყოვლისმძლე დროშას!

სცენის თავზე ალისფერ ხავერდს აწერია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ საყოველთაო-სახალხო სიყვარულს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ლენინმა შექმნა:

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

22 აპრილს თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის წევრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიისა და ფლოტის ოფიცრები და გენერლები. დარბაზში მსხდომთა შორის არიან რევოლუციის ჭაღარამოსილი ვეტერანები, ისინი, ვინაც წილად ხვდა ბედნიერება ენახა ილიჩი და მოესმინა მისი სიტყვები; მათთან ერთად არიან კომუნიზმის მშენებელთა ახალი თაობის ადამიანები.

საღამოს შვიდი საათია. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სამრეწველო საწარმოთა ნოვატორები. საბჭოთა არმიისა და ფლოტის წარმომადგენლები. მათ მხურვალე ტაშით ხვდებიან.

ქალაქ მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, მიძღვნილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ბელადის და დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით გახსნა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა.

ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

სიტყვა მოხსენებისათვის „ლენინის იდეები აშუქებენ კომუნიზმის გზას“ ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, გაზეთ „პრავდის“ მთავარ რედაქტორს დ. ტ. შეპილოვს.

მომხსენებელი ამბობს, რომ ლენინი არის რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების ტიტანი, კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, ყველა ქვეყნის მშრომელთა ბელადი.

ლენინმა — რევოლუციის დიდმა სტრატეგმა და მეცნიერების დიდმა კორიფეემ — უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. მან დაამოშავა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პრობლემები. მძლავრი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ლენინიზმის იდეების დიადი გარდამქმნელი ძალის ცოცხალი განსახიერებაა.

მომხსენებელი შემდეგ ამბობს, თუ როგორ მოახდინა საბჭოთა ქვეყანამ ლენინის მოძღვრების საფუძველზე გიგანტური ნახტომი ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ და ორ ათეულ წელიწადზე ნაკლებ ხანში მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ძლიერებით და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე საბჭოთა ქვეყანა განუხრელად მიდის წინ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

სხვადასხვა სოციალურ სისტემას, განაცხადა მომხსენებელმა, შეესაბამება აგრეთვე სხვადასხვა კურსი საგარეო პოლიტიკის დარგში. საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა, ახორციელებენ რა დიადლენინურ პრინციპებს საგარეო პოლიტიკის დარგში, მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

და თუ ხალხთა ნების წინააღმდეგ იმპერიალისტური ბანაკის უგუნური მესვეურები შეეცდებიან გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, მაშინ საბჭოთა სახელმწიფო, მისი ერთგული მოკავშირეები, კაპიტალისტური და კოლონიური სამყაროს მთელი პროგრესული ძალები, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს დემოკრატიისა და მშვიდობის იდეებს, განახორციელებენ ისეთი ძალისა და ისეთი მასშტაბის დარტყმებს, რომლებიც ნანგრევებად აქცევს იმპერიალიზმის მთელ ძირმომპალ შენობას, რომლის საფუძველია მშრომელთა თავშეუკავებელი ექსპლოატაცია, ასეულ მილიონობით ადამიანის დამონება, ხალხთა მასების ტანჯვა და სისხლი.

თავისი მოხსენების დასასრულს დამსწრეთა ტაშის გრიალში დ. ტ. შეპილოვი ამბობს, რომ ლენინის მოძღვრებისადმი ერთგული კომუნისტური პარტია, რომელსაც სათავეში უდგას მისი ნაცადი ცენტრალური კომიტეტი, ახლა წარმატებით წყვეტს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად ამოცანებს. იგი ძლევამოსილად გადაწყვეტს ამ ამოცანებს, რადგან უსაზღვროა შემოქმედებითი ძალები ხალხისა, რომელიც პარტიამ აიყვანა ისტორიული შემოქმედების მწვერვალებამდე, რადგან გზას ამ მიზნისაკენ აშუქებს ლენინის ყოვლისმძლე იდეების სინათლე.

დარბაზში იმართება მჭუხარე ოვაცია სახელოვანი კომუნისტური პარტიის პატივსაცემად, მისი ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად. ყველანი ფეხზე დგებიან. მძლავრად და დიდებულად ჟღერს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. მას მღერიან საზეიმო სხდომის მონაწილენი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

22 აპრილს საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა და მშენებლობათა მუშაკები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები.

სცენის თავზეა ტრანსპარანტი — „მარქს—ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით — წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ!“ სცენის სიღრმეში ცოცხალ ყვავილებში ჩასმულია კაცობრიობის უდიდესი გენიოსის — უკვდავი ლენინის დიდი პორტრეტი. ალისფერ ფონზე ბრწყინავს ოქროს ასოებით დაბეჭდილი თარიღები „1870 — 1955“. საბრძოლო დროშებთან საპატიო ვახტს ეწევა სამხედრო ყარაული.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, მ. მ. ლილაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

საზეიმო სხდომას ხსნის საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. სეხნიაშვილი. მძლავრად და დიდებულად გაისმის პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

სიტყვა მოხსენებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

მომხსენებელი ამბობს, რომ რევოლუციის დიდმა გენიოსმა, კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა ბრძოლას მშრომელთა ბედნიერებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მან შეაიარაღა კომუნისტური პარტია მეამბოხეთა და კაპიტალისტთა ბატონობის დამხობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ბრძნული პროგრამით. ლენინი მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსია, რომელმაც გამდიდრა და ახალ ისტორიულ პირობებში შემდგომ განავითარა ყოვლისმძლე მარქსისტული მოძღვრება.

კომუნისტურმა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით განვლო სახელოვანი ბრძოლის გზა, მიიყვანა ჩვენი ქვეყნის ხალხები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამდე.

დაადგა რა ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას, ახორციელებდა რა მის ანდერძს, კომუნისტურმა პარტიამ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა ვ. ი. ლენინის საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი, უზარუნველყო სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა მოკლე ისტორიულ ვადაში მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა.

— ლენინის უკვდავი იდეები, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — ხორცშესხმულია საბჭოთა ხალხის დიადი მონაპოვრებით, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით. ასრულებს რა ვლადიმერ ილიას-ძის ანდერძს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით შემდგომ განავითაროს მძიმე ინდუსტრია, რომელიც სამშობლოს ძლიერების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველთა საფუძველია. საბჭოთა ადამიანები გულმოდგინედ ახორციელებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ამმავლობის პროგრამას, რომელიც პარტიამ დასახა.

მომხსენებელი აღნიშნავს წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა საქართველომ მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ხალხების და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით. ქართველი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, იმკის კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის ნაყოფს. საქართველოს მშრომელები მზად არიან თავდადებით იშრომონ, რათა განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

ამხ. მჟავანაძე შემდეგ ამბობს, რომ ლენინის იდეები მძლავრ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ეს იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მშრომელთა დიად საქმეებში. ლენინის მიერ ნაჩვენები გზით დღეს მიდიან დიდი ჩინელი ხალხი, სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის პრინციპებიც შეიმუშავა ვ. ი. ლენინმა. ლენინის სახელი ჩვენს დღეებში აღფრთოვანებს ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანს, რომელნიც იბრძვიან მშვიდობისათვის, უკეთესი მომავლისათვის.

გაისმის შეკრებილთა მჭუხარე ტაში, როცა მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს, გმირ საბჭოთა ხალხს, სახელოვან კომუნისტურ პარტიას, ლენინიზმს.

დარბაზში ზეიმოვნად გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი

22 აპრილს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დიდი ბელადი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა გ. ხაჭაპორიძემ. მოხსენება თემაზე „ვ. ი. ლენინი და ენათმეცნიერების საკითხები“ გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ვ. თოფურიამ. სესიამ მოისმინა მოხსენებანი ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორის პ. შენგელიასი „საბჭოთა ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმა“ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ მ. საბაშვილისა „ვ. ი. ლენინის მოძღვრება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შესახებ“. (საქდესი).

ლენინის იდეები ამუქებენ კომუნიზმის გზას

ამხ. დ. ზ. შეპილოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შრომელები, კაპიტალისტური და კოლონიური სამყაროს მუშათა კლასი, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ თარიღს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავს.

ლენინი არის რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების ტიტანი, კომუნისტური პარტიის დიდი დამაარსებელი, მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი, ყველა ქვეყნის შრომელთა ხელადი.

მუშათა კლასის გენიალურმა მასწავლებლებმა და თეორეტიკოსებმა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მუშათა კლასი შეაიარაღეს ნამდვილად მეცნიერული მსოფლმხედველობით. მათ აღმოაჩინეს კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარებისა და დაღუპვის კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობა, მათ ცხადყვეს მუშათა კლასის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლის, ისტორიული როლი, მათ ზოგადი ნიშნებით დაახასიათეს კომუნიზმის განვითარების ორი ფაზა. ლენინმა, რომელიც იყო ორტოდოქსალური მარქსისტი ამ სიტყვის ყველაზე ღრმა, რევოლუციურ-შემოქმედებითი მნიშვნელობით, უაღრესად გაამრავლა მარქსიზმის იდეური სიმდიდრე.

ლენინი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ახალ ეპოქაში, როცა ხდებოდა კაპიტალიზმის გადასვლა მისი განვითარების მონოპოლისტურამდელი ფაზიდან იმპერიალისტურ ფაზაში. კაპიტალიზმის წინააღმდეგობებმა განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი რუსეთში. აქ გადმოინაცვლა მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრმა. აქ მწიფდებოდა უდიდესი რევოლუციური ბრძოლები. და სწორედ რუსეთმა მისცა მსოფლიოს ლენინი. რუსეთი გახდა ლენინიზმის სამშობლო.

ამასთან ერთად ლენინიზმს ორმა ფესვები აქვს მთელ საერთაშორისო განვითარებაში, მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ლენინიზმი ინტერნაციონალური მოძღვრებაა. ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის მარქსიზმია. ლენინიზმში ხორცშესხმულია ყოველივე საუკეთესო, რაც ათასეული წლების მანძილზე დაუგროვებია ადამიანის აზრს. ახალ ისტორიულ ეპოქაში მსოფლიო გამოცდილების გენიალური განზოგადების საფუძველზე ლენინმა განავითარა და გაამდიდრა მარქსისტული ფილოსოფია — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია. ლენინიზმი რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევაა.

ლენინი იყო რევოლუციის უდიდესი სტრატეგი. მოაზროვნის გამჭრიახი თვალით სწვდებოდა რა წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების ობიექტურ პროცესებს, ლენინმა შექმნა შესანიშნავი გამოკვლევა იმპერიალიზმის შესახებ. აღმოაჩინა რა იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, მან შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია, რომელიც გახდა დროშა და თეორიული საფუძველი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც მთელ ჩაგრულ კაცობრიობას გაუკაფა ახალი ცხოვრების გზა.

„ჩვენ უფლება გვაქვს ვამაყობდეთ და თავს ბედნიერად ვთვლიდეთ იმით, — წერდა ლენინი, — რომ ჩვენ წილად გვხვდა პირველთ დაგვენარცხებია ძირს დედამიწის ერთ კუთხეში ის გარეული მხეცი, კაპიტალიზმი, რომელმაც დედამიწა სისხლით მორწყო, კაცობრიობა შიმშილობამდე და გაველურებამდე მიიყვანა, და რომელიც გარდუვალად და მალე დაიღუპება, რაოდენ საშინლად მხეცურიც უნდა იყოს მისი სიკვდილისწინა მძვინვარების გამოვლინებანი“ (ტ. 27, გვ. 614).

ჩვენს თვალწინ სულ უფრო ძლიერდება ძველი, დაღმავალი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის გახრწნა, სულ უფრო იზრდება და მტკიცდება ახალი, აღმავალი მსოფლიო სოციალისტური სისტემა. მეოცე საუკუნე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების გამარჯვების საუკუნეა.

ლენინი მეცნიერების დიდი კორიფეა. საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის კანონების, გზებისა და ფორმების, კომუნიზმის მშენებლობის კანონების აღმოჩენით ლენინმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსიზმი. მან ყოველმხრივ დაამუშავა პროლეტარული დიქტატურის საკითხი, დაასაბუთა რა ის ძირითადი დებულება, რომ პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლით. მან შექმნა ეროვნულ-კოლონიური საკითხის თეორია. მან დაამუშავა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პრობლემები. მძლავრი საბჭოთა ერავალეროვანი სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ლენინიზმის იდეების დიადი გარდამქმნელი ძალის ცოცხალი განსახიერებაა.

ლენინი იყო ერთსა და იმავე დროს გენიალური მოაზროვნე და პოლიტიკური მებრძოლი, რევოლუციურ გარდაქმნათა ოსტატი და მრავალმილიონიანი მასების ორგანიზატორი. რუსეთში პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის დასაწყისშივე ლენინი ამბობდა: „მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია და ჩვენ გადავაბრუნებთ რუსეთს!“ (ტ. 5, გვ. 593). რევოლუციონერთა ასეთი ორგანიზაცია მან შექმნა, იდეურად გამოაწრთო და გამობრძმედა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის სახით. **(ტაში).**

ლენინის პარტია მუშათა კლასის ავანგარდში იყო სამი რევოლუციის სოციალურ ბრძოლებში. პარტია სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ადამიანების თავდადებულ ბრძოლას თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წლებში. ლენინის საქმის დიდი განმგრძობის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ, გადალახა რა უდიდესი განსაცდელი და სიძნელენი, მენშევიკების, ტროცკისტების, შემარჯვენე რესტავრატორების, ხალხის მრავალი მტრის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლით მიიყვანა ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის გამარჯვებამდე. პარტიის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა და მისმა მამაცმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი სამამულო ომის წლებში გაანადგურეს ჰიტლერელ აგრესორთა შეჯავშნული ურდოები და ფაშისტური დამონების საფრთხისაგან იხსნეს მსოფლიო.

ახლა კომუნისტების პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობენ ლენინის გამოჩენილი თანამებრძოლები და მოწაფეები, შთამაგონებელი და ორგანიზატორია ჩვენი ხალხის დიდი შემოქმედებითი მუშაობისა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის. პარტიის საბრძოლო და ძლევამოსილი დროშა იყო, არის და იქნება ლენინიზმი. **(ხანგრძლივი ტაში).**

I.

ამხანაგებო! იწყებდა რა საზოგადოების გარდაქმნას სოციალისტურ საწყისებზე, საბჭოთა ხალხი იძულებული იყო პირველ ხანებში დაყრდნობოდა მეტად განუვითარებელ ეკონომიურ ბაზას, რომელიც წარსულისაგან მემკვიდრეობით მიიღო.

ხელმძღვანელობდა რა თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ახალი რევოლუციური თეორიით, ლენინმა მეცნიერულად შეიმუშავა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმა. ამ ზეგმის შემადგენელი ნაწილები იყო: ა) ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, ბ) სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერირების საფუძველზე, გ) კულტურული რევოლუცია. ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა, აღნიშნავდა ლენინი, რათა შევქმნათ ნამდვილად მძლავრი და უხვი სოციალისტური სახელმწიფო.

ჯერ კიდევ 1917 წელს ლენინმა პარტიასა და ხალხს დაუსახა დიადი ამოცანა — მთელი სისწრაფით წასულიყვნენ წინ და ისტორიულად უმოკლეს ვადებში აღმოეფხვრათ რუსეთის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა.

სოციალიზმის მატერიალური საფუძველია, გვასწავლის ლენინი, მსხვილი მანქანური ინდუსტრია, წარმოების საშუალებათა წარმოება. ხელმძღვანელობდა რა ლენინის გეგმით, კომუნისტურმა პარტიამ სტალინის წინამძღოლობით განახორციელა საბჭოთა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე. ლენინის იდეები, დაეუფლნენ რა მასებს, მძლავრი მატერიალური ძალა გახდნენ. საბჭოთა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ. ინდუსტრიული განვითარების გზა, რომლისთვისაც კაპიტალისტური სამყაროს უძველეს ქვეყანას — ინგლისს სამრეწველო გადატრიალების დაწყების დროიდან თითქმის ორი საუკუნე დასჭირდა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს — დაახლოებით საუკუნე, სსრ კავშირმა ორ ათეულ წელზე ნაკლებ ხანში განვლო. ახლა საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა. 1954 წელს სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1913 წლის დონეს (შესადარ ფასებში) გადაამეტა 35-ჯერ, წარმოების საშუალებათა წარმოებამ—თითქმის 60-ჯერ, ელექტროენერგიის წარმოებამ — 75-ჯერ და უფრო მეტად, მანქანათმშენებლობის პროდუქციამ — 160-ჯერ და უფრო მეტად. ეს ციფრები ცხადყოფენ მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემის უდიდეს უპირატესობებს.

ამხანაგებო! მარქსი და ენგელსი შორსმჭვრეტელურად ითვალისწინებდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საჭიროებას. მაგრამ მათ, ბუნებრივია, არ შეეძლოთ, და არც ისახავდნენ ამოცანად მოეცათ ამ გარდაქმნის კონკრეტული პროგრამა. ასეთი პროგრამა, რომელიც გენიალურია თავისი სიღრმით და იმით, რომ გასაგებია გლეხობის უფართოესი მასებისათვის, მოცემული იყო ლენინის კოოპერაციულ გეგმაში.

ცივილიზებულ კოოპერატივთა წყობილება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის კლასობრივი გამარჯვების პირობებში, — გვასწავლიდა ლენინი,—ეს არის სოციალიზმის წყობილება. ჩვენი მოვალეობა და ჩვენი ვალი ის არის, „რომ ყველაზე ჩამორჩენილი წარმოება, სამიწათმოქმედო, სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ახალ რელსებზე დავაყენოთ, რომ იგი გარდავქმნათ და მიწათმოქმედება ისეთი სარეწავიდან, რომელიც შეუგნებლად, ძველებურად წარმოებს, მეცნიერებასა და ტექნიკის მონაპოვრებზე დაყრდნობილ სარეწავად გადავაქციოთ“. (ტ. 28, გვ. 424-425).

ლენინის კოოპერაციული გეგმით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ, ეყრდნობოდა რა მზარდი სოციალისტური ინდუსტრიის ძლიერებას, მუშათა კლასი, გლეხობის მრავალმილიონიანი მასები ჩაება დიად გარდამქმნელ მუშაობაში სოფლად. საზოგადოებრივ მოძრაობათა მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს წარმოების საფუძვლების, ათეულ მილიონობით ადამიანის ცხოვრებისა და ყოფის ისეთი მასშტაბითა და ისეთი სიღრმით გარდაქმნა, როგორიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იყო მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია. ნაცვლად ძველი, კერძომესაკუთრული წყობილებისა სოფლად, რომელსაც წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლისა და მასების ტანჯვის საუკუნოვანი ისტორია აქვს, შეიქმნა ახალი, წარსულში უმაგალითო საკოლმეურნეო წყობილება. ამ წყობილებამ მოსპო გლეხობის ფენებად დაყოფა, კულაკური კაბალა, სიღარიბე და სიღატაკე სოფლად, მან შექმნა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარების, კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდის უსაზღვრო შესაძლებლობანი. საკოლმეურნეო წყობილება საბჭოთა ხალხის უდიდესი მონაპოვარია.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ამ საფუძველზე ექსპლოატატორული კლასებისა და თვით იმ მიზეზების ლიკვიდაცია, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, უღრმესი კულტურული რევოლუციის განხორციელება, მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ეყრდნობა ერების ნებაყოფლობითს კავშირს, მათს ძმურ ნდობასა და ურთიერთდახმარებას, — ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ სავსებით გაიმარჯვა ლენინის წინასწარდასახულობამ — გადაგვექცია რუსეთი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს დიადი მონაპოვრებით. მაგრამ პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს განუხრელად იარონ წინ მეცნიერული კომუნიზმის პროგრამით დასახული გზით. ლენინიზმი მარად ცოცხალი, ცხოველმყოფელი მოძღვრებაა.

სოციალისტური რევოლუციის დასაწყისშივე ლენინი ამბობდა: „...როცა ვაწყებთ სოციალისტურ გარდაქმნებს, ნათლად უნდა დავისახოთ ჩვენს წინაშე მიზანი, რომლისკენაც, ბოლოს და ბოლოს, მიმართულია ეს გარდაქმნანი, სახელდობრ მიზანი კომუნისტური საზოგადოების შექმნისა...“ (ტ. 27, გვ. 137). ლენინიზმია ის კომპასი, ის მძლავრი იდეური იარაღი, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს პარტიას სწორად გაერკვეს საზოგადოებრივი განვითარების ურთულეს კანონებში, ესმოდეს ისტორიულ მოვლენათა შინაგანი კავშირი, განჭვრიტდეს მათს მსვლელობას, მტკიცე რწმენით უძღვებოდეს წინ ხალხის მასებს.

სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრება და კომუნიზმის მეორე ფაზაში თანდათანობით გადასვლა გულისხმობს სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ გიგანტურ ზრდას, მთელი სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას, შრომის კომპლექსური მექანიზაციის დამთავრებას ეკონომიკის ყველა დარგში, წარმოების ავტომატიზაციისა და ქიმიზაციის ფართო განვითარებას უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. მთელი საზოგადოებრივი წარმოების ამ მძლავრი წინსვლის საფუძველია მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული ზრდა.

პარტიამ გამოააშკარავა იმ მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკების შეხედულებათა ცრუმეცნიერულობა, პოლიტიკური მავნებლობა და ანტილენინური არსი, რომელნიც ამტკიცებდნენ, თითქოს თანამედროვე პირობებში საჭირო აღარ იყოს მძიმე ინდუსტრიის განვითარების მაღალი ტემპები და შეიძლებოდეს სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ მსუბუქი მრეწველობის საკითხებზე. ეს დამპალი თეორიაა, რომელიც განაიარაღებს ჩვენს ხალხს. მისი პრაქტიკულად განხორციელება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დაჩავდეს მთელი სახალხო მეურნეობა, დაქვეითდეს მშრომელთა ცხოვრების დონე, ძირი გამოეთხაროს სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას.

ლენინი აღნიშნავდა: „სოციალიზმის ერთადერთ შესაძლებელ ეკონომიურ საფუძველს მსხვილი მანქანური ინდუსტრია წარმოადგენს. ვინც ამას ივიწყებს, ის კომუნისტი არ არის“ (ტ. 32, გვ. 628). მძიმე მრეწველობის, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას ლენინი ეკონომიურ კანონს უწოდებდა. თუ ეს კანონი სწორია კაპიტალიზმისათვის, მას აბსოლუტური და ასჯერ მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმისათვის, რადგან მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება ინდუსტრიული განვითარების დონით მნიშვნელოვნად უნდა უსწრებდეს წინ ყოველ, უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

მძიმე ინდუსტრია იყო და ახლაც არის სოციალისტური ეკონომიკის გრანიტის საძირკველი, მისი ხერხემალი. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის განვითარების ძლიერი ტემპის ბაზაზე შეიძლება გადავწყვიტოთ საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების, სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის დამთავრების, სახალხო მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების მკვეთრი აღმავლობის ამოცანა. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონია მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით. ხალხის კეთილდღეობა, მისი აყვავება კომუნისტური პარტიის მთელი მოღვაწეობის უმაღლესი მიზანია. მხოლოდ პარტიის გენერალური ხაზის — მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების ხაზის განხორციელებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა.

პარტია, რომელიც ერთგულია ლენინიზმისა, კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს თავის გენერალურ ხაზს — მთელი საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი აღმავლობისა და წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდის ხაზს, მაღალი ტემპებით წასწევს წინ პირველ რიგში სათბობის, მეტალურგიულ მრეწველობას, ენერგეტიკას, მანქანათმშენებლობას, ქიმიურ მრეწველობას, სამშენებლო ინდუსტრიას. ამას მოითხოვს ხალხისა და სოციალისტური სახელმწიფოს ძირეული ინტერესები.

ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ სიმძლავრეთა სისტემატურ ზრდას და მანქანათმშენებლობის გაძლიერებულ განვითარებას. ლენინი გვასწავლიდა: „...თუ რუსეთი დაიფარება ელექტროსადგურებისა და მძლავრი ტექნიკური მოწყობილობის ხშირი ქსელით, მაშინ ჩვენი კომუნისტური სამეურნეო მშენებლობა ნიმუშად გადაიქცევა მომავალი სოციალისტური ევროპისა და აზიისათვის“ (ტ. 31, გვ. 637).

მუშათა კლასი, ჩვენი მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები ახორციელებენ ელექტროფიკაციის ლენინურ პროგრამას. მარტო მეხუთე ხუთწლედის ოთხ წელიწადში აშენდა და გაფართოვდა ხუთასამდე ელექტროსადგური, წვრილი ელექტროსადგურების ჩაუთვლელად. მარტო 1954 წელს ელექტროსადგურებში ამუშავდა თითქმის ორნახევარჯერ მეტი სიმძლავრენი, ვიდრე ამუშავდა პირველ ათ წელიწადში რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის ლენინური გეგმის მიხედვით. მიმდინარე წელს ნაწილობრივ ჩადგება მწყობრში და სამრეწველო დენს გამოუშვებს მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროსადგური — კუიბიშევის ჰიდროსადგური, რომლის საერთო საპროექტო სიმძლავრე 2.100 ათას კილოვატს შეადგენს. უახლოეს წლებში აიგება ან იქნება ჰიდროენერგიის გიგანტები ციმბირის დიდ მდინარეებზე, რომელთაგან თვითეული სიმძლავრით რამდენჯერმე გადააჭარბებს განთქმულ დნეპრჰესს.

მძიმე ინდუსტრიის გულია მანქანათმშენებლობა, რომელიც თანამედროვე ტექნიკით აიარაღებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. უახლესი მანქანური ტექნიკა ტექნიკური პროგრესის საფუძველია. „ყველგან მეტი მანქანა უნდა შემოვიღოთ, გადავიდეთ მანქანური ტექნიკის რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებაზე“ —ასე გვასწავლიდა ლენინი (ტ. 31, გვ. 627). პარტია მოითხოვს ჩვენი მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისაგან არ მიეცნენ თვითდამშვიდებას და არ იყოყოჩონ, მუდამ იყვნენ მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დონეზე, უფრო ფართოდ დანერგონ სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკა, განუწყვეტლივ სრულყონ, წინ წასწიონ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, მტკიცე ბრძოლა აწარმოონ ყოველგვარი ჩამორჩენილობის, უძრაობის, რუტინის წინააღმდეგ.

ლენინს მრავალჯერ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ კომუნიზმი უნდა ვაშენოთ მთელი იმ ცოდნისა და კულტურის მთელი იმ სიმდიდრის გამოყენებით, რაც კაცობრიობას დაუგროვებია. პატრიოტი ის კი არ არის, ვისაც უყვარს ზოგადი ფორმულების გამეორება სამშობლოსა და პრიორიტეტის შესახებ, ნამდვილად კი წინ არ მიდის, ჩამორჩენილია. ჭეშმარიტი პატრიოტი ის არის, ვინც, ეყრდნობა რა თავის საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის ყველაზე მოწინავე გამოცდილებას, ამა თუ იმ დარგში არსებულ მთელ მსოფლიო გამოცდილებას, პრაქტიკულად უზრუნველყოფს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პირველობას, იბრძვის ტექნიკური პროგრესისათვის, აღწევს უმაღლეს საწარმოო მაჩვენებლებს.

ამხანაგებო! წყვეტს რა კომუნიზმის მძლავრი და ყოველმხრივ განვითარებული მატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნის დიდ და რთულ ამოცანებს, პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის საკითხებს. სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიუღწეველად არ შეიძლება გადაწყდეს ამოცანა მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი განუხრელი განვითარებისა, რომლებსაც პარტია ყოველდღიურ ყურადღებას აქცევდა და აქცევს.

მარქსმა და ენგელსმა განჭვრიტეს, რომ კერძომესაკუთრული ბორკილებისაგან განთავისუფლებული სოფლის მეურნეობა „შევა აყვავების ხანაში და საზოგადოებას მისცემს პროდუქტებს სავსებით საკმარისი რაოდენობით“ (ტ. 5, გვ. 477). ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ახლა თავისი განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწია, როცა მას შეუძლია სავსებით საკმარისი რაოდენობით მისცეს პროდუქტები საზოგადოებას, თუ იგი სწორად გამოიყენებს მთელ შესაძლებლობებს, რომლებიც მას მოეპოვება. სწორედ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებანი, პლენუმისა, რომელმაც დასახა ამოცანა 1960 წლისათვის მარცვლეულის წარმოება ავიყვანოთ სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება გავადიდოთ ორჯერ და უფრო მეტად, წარმოადგენენ ამ უდიდესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის ერთიან, მეცნიერულად დასაბუთებულ და ქმედით პროგრამას.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა დაძაბულ ბრძოლას ყველა ფართობზე მარცვლეულის მოსავლიანობის მკვეთრი ზრდისათვის და მოსავლის გადიდებისათვის, აგრეთვე დანაკარგების სირიოზულ შემცირებას მოსავლის აღების დროს. 1956 წლისათვის 28-30 მილიონი ჰექტარი უამირი და ნასვენი მიწების ათვისება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად გავაფართოოთ ჩვენი მარცვლეულის მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის საფუძველია, და გავაუმჯობესოთ სხვა დარგებისათვის მიწის უდიდესი გამოუყენებელი სიმდიდრენი, რადგან მიწა წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში.

პარტიამ დაგვისახა მარცვლეულის წარმოების აღმავლობის ყველაზე მოკლე და უაღრესად ეფექტიანი გზა — სათეს ფართობთა სტრუქტურის არსებითად შეცვლა, სიმინდის ნათესების სულ ცოტა 28 მილიონ ჰექტარამდე გადიდება 1960 წლისათვის. საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ 1921 წელს ლენინი მიგვითითებდა სიმინდის დიდ უპირატესობებზე. წერილში გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი იგი მოითხოვდა „უნდა შევიმუშაოთ მთელი რიგი ძალიან ზუსტი და ძალიან საფუძვლიანად მოფიქრებული ღონისძიებანი, რათა პროპაგანდა გავუწიოთ სიმინდს და **შევასწავლოთ** გლეხებს სიმინდის კულტურა...“

სიმინდის წარმოების მკვეთრად გადიდება მარცვლეულის მეურნეობის სერიოზული აღმავლობის წყაროა, ხოლო მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობა ერთადერთი საიმედო გზაა იმისათვის, რომ გადავჭრათ მეცხოველეობის პრობლემა, შევქმნათ ჩვენს ქვეყანაში სიუხვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ხელფეულისა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის. ის ღონისძიებათა მთელ სისტემაში, რომელთა მიზანია მთელი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, თავი იჩინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ძალამ და სიბრძნემ. კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მძლავრი პატრიოტული აღმავლობა, მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება იმის საწინდარია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალებანი შეიძლება ვადამდე შესრულდეს და კიდეც შესრულდება. **(ტაში).**

სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში კომუნისტურმა პარტიამ ამ უკანასკნელ პერიოდში განახორციელა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომლებიც შეესაბამებიან მსხვილი სოციალისტური წარმოების კანონებს.

ლენინი გვასწავლიდა — კომუნიზმი უნდა ვაშენოთ ისე, რომ მასების რევოლუციური ენთუზიაზმი შევახამოთ თვითეული მუშაკის პირად მატერიალურ დაინტერესებასთან პროდუქციის გადიდებით. პარტიამ განახორციელა მთელი სისტემა ღონისძიებებისა, რომლებიც სტიმულს აძლევენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირად მატერიალურ დაინტერესებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადიდებით. პარტია მოითხოვს შემდეგშიც ვუმჯობესოთ საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის ეს მძლავრი ბერკეტები.

ამასთან დაკავშირებით დიდი პროგრესული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის რეფორმას, რომელიც ამას წინათ განხორციელდა. პარტიამ და მთავრობამ გააუქმეს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ბიუროკრატული, უაღრესად გაბერილი, ცხოვრებას მოწყვეტილი სისტემა, რომელიც ბოჭავდა კოლმეურნეობებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას და ასუსტებდა მათს პასუხისმგებლობას და დაინტერესებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით.

ლენინი აღნიშნავდა: „მიწათმოქმედება კალუგის გუბერნიაში სხვაა, ვიღრე ყაზანის გუბერნიაში. იგივე ითქმის მთელ მრეწველობაზე. იგივე ითქმის მთელი ადმინისტრირებისა თუ მართვა-გამგეობის მიმართ. ყველა ამ საკითხში ადგილობრივ განსხვავებათა გაუთვალისწინებლობა იქნებოდა ბიუროკრატულ ცენტრალიზმში გადავარდნა და სხვ., იქნებოდა ხელის შეშლა ადგილობრივი მუშაკებისათვის ადგილობრივ განსხვავებათა იმ გათვალისწინებაში, რაც გონიერი მუშაობის საფუძველია“ (ტ. 33, გვ. 428). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაგეგმვის ახალი წესი, რომელშიც ამოსავალი საწყისია სასაქონლო პროდუქციის წარმოების მოცულობა, გზას უხსნის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას მიწის ყოველ ას ჰექტარზე პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღებისათვის. ამ წესით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ინტერესები საუკეთესოდ შეხამებულია სახელმწიფო, საერთო-სახალხო ინტერესებთან.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის ათეულათასობით კოლმეურნეობა გვაძლევს მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლოლის მაღალ ნიმუშებს. ასეთ კოლმეურნეობებში წლითიწლობით მრავლდება საზოგადოებრივი სიმდიდრე, იზრდება სასაქონლო პროდუქცია. ასეთ კოლმეურნეობებში მაღალია არტელის წევრთა შემოსავალი, მძლავრად ჩქეფს კულტურული ცხოვრება.

მაგრამ მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით ჩვენში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობანი. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველი კოლმეურნეობის სამეურნეო მდგომარეობისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ არის კოლმეურნეობის სათავეში. თუ კარგი თავმჯდომარე ჰყავს, ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობაც კი ერთ-ორ წელიწადში გადაიქცევა მოწინავე საწარმოდ. სწორედ ამიტომ ახლა, როცა დასმულია ამოცანა ბოლო მოვუღოთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას და მოწინავე, მაღალსასაქონლო საწარმოთა დონემდე ავიყვანოთ ყველა კოლმეურნეობა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ მოგვიწოდეს დავეხმაროთ საკოლმეურნეო სოფელს, განვამტკიცოთ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი ხელმძღვანელი კადრებით.

მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზატორობა საპატიო მოწოდებაა. თვითეული საბჭოთა პატრიოტისათვის დიდი პატივია აქტიურად იღებდეს მონაწილეობას იმ ისტორიული ამოცანის გადაჭრაში, რომ გადავაქციოთ ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეობა მატერიალური სიუხვით და კულტურული სიკეთით აღსავსე აყვავებულ მაღალსასაქონლო მეურნეობებად. ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „... თუ ყველა კოლმეურნე, — ყველა და არა მარტო უმრავლესობა, — პატიოსნად იმუშავებს, — კოლმეურნეობები აივსება პროდუქტებით, ისინი აივსებიან ყოველი სიკეთით

ამხ. დ. ჯ. შეპილოვის მოხსენების დასასრული

სსრ კავშირისა და მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო განვითარების ტემპებს, აღმოჩნდება, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიურმა ტემპმა სსრ კავშირში (ომის წლების გამოკლებით) შეადგინა 18,2 პროცენტი, შეერთებულ შტატებში — 2,4 პროცენტი, ინგლისში — 3,6 პროცენტი, საფრანგეთში — 2,1 პროცენტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალისტური ეკონომიკა ისეთი ტემპებით მიდის წინ, რომლებიც მრავალგზის აღემატება კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების ტემპებს. სოციალისტური ეკონომიკა ემორჩილება სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი (პროპორციული) განვითარების კანონის მოქმედებას. ჩვენში არ არის წარმოების ანარქია, დამანგრეველი კონკურენცია და გამანადგურებელი ეკონომიური კრიზისები, რაც კაპიტალიზმს სჩვევია. ჩვენში არ არის ანტაგონისტური კლასები და პარაზიტული მოხმარება ექსპლოატატორი კლასებისა. მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც საზოგადოების ყველა სამდიდრის მწარმოებელი და განმანაწილებელი, სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდით. ამას ემყარება ჩვენი ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული რწმენა იმისა, რომ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა წარმატებით გადაიჭრება ისტორიულად მოკლე ვადებში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების ნამდვილი სიუხვის შექმნისათვის ბრძოლაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადაჭრით გადიდებას. ლენინი გვასწავლიდა: „შრომის ნაყოფიერების გადიდება შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რადგან უამისოდ კომუნიზმზე საბოლოო გადასვლა შეუძლებელია“ (ტ. 29, გვ. 119). შრომის ნაყოფიერების თანამედროვე დონე სსრ კავშირში ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ სახალხო-სამეურნეო მოთხოვნებს და არ შეესაბამება ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობას. ახლა საქმე ცალკეულ რეკორდებს როდი ეხება. ამოცანა ის არის, რომ ჩვენი განვითარების ისეთ მძლავრ მამოძრავებელ ძალაზე დაყრდნობით, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, უმდიდრესი ტექნიკის სრული გამოყენებით და შრომის სწორი ორგანიზაციით მივაღწიოთ მეხუთე ხუთწლიანი გეგმისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებას, უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი და მნიშვნელოვანი ზრდა თვითეულ საწარმოში, თვითეულ საამქროში, თვითეულ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით მსოფლიო ისტორიაში პირველად გახდა ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონი. ლენინიზმი გამოდის იმის აღიარებიდან, რომ გადამწყვეტ როლს ასრულებენ ხალხის მასები, როგორც ისტორიის ჭეშმარიტი შემოქმედნი. „მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას ,— გვასწავლიდა ლენინი, — ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში“ (ტ. 26, გვ. 338). კომუნისტების პარტია უაღრესად მტკიცედ დაკავშირებულია ხალხთან. სოციალისტური წყობილება, როგორც ხალხის ნამდვილი ბატონობის წყობილება, განასახიერებს პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას.

კომუნისტური მშენებლობის დიდი და რთული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად პარტია მოითხოვს სახელმწიფო აპარატის განუწყვეტელ სრულყოფას. ლენინს საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა „საბჭოთა აპარატის სისტემატურად შემცირება და გაიაფება მისი შემოკლებით, უფრო სრულყოფილი ორგანიზაციით, საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის მოსპობით და უნაყოფო ხარჯების შემცირებით“ (ტ. 33, გვ. 525).

ემყარება რა საბჭოთა აპარატის მუშაობის ლენინურ პრინციპებს, კომუნისტური პარტია ახორციელებს მატერიალური წარმოების სფეროში, ესე იგი იმ სფეროში დასაქმებული შრომის წილის სისტემატურად გადიდების გეზს, სადაც იქმნება ცხოვრების მთელი სიკეთე. იგი იბრძვის იმისათვის, რომ გადაჭრით შეამციროს და გააიაფოს სახელმწიფო აპარატი, რომ მისი მუშაობა წარმართოს ცოცხალი ორგანიზატორული საქმიანობის და არა ანგარიშებისა და რეზოლუციების შედგენის გზით, მოითხოვს, რომ სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლი საქმით ახორციელებდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას — მსოფლიოში ყველაზე პროგრესულ და ცხოველმყოფელ პოლიტიკას. პარტია გადაჭრით იბრძვის საზოგადოებრივი დოვლათისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობის, ანგარების, სიხარბისა და ბურჟუაზიული მორალის სხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ. პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის საგანია მეცნიერებისა და კულტურის განვითარება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით წარმოშობილი საბჭოთა წყობილება სულ უფრო ფართოდ აჩენს თავის მძლავრ სასიცოცხლო ძალებს. საბჭოთა ქვეყნის ყოველ კუთხეში ჩქეფს ხალხის შემოქმედების წყარო. საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობას ეკონომიკის, კულტურის, სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან საბჭოთა კავშირი არის კაცობრიობის დიადი განმათავისუფლებელი იდეების მქადაგებელი, ახალი, კომუნისტური ეპოქის მედროშე. **(ტაში).**

II.

ამხანაგებო! ლენინმა მოგვცა თანამედროვე კაპიტალიზმის კანონზომიერებათა უღრმესი ანალიზი, დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმი არის პარაზიტული და ლპობადი კაპიტალიზმი, სოციალისტური რევოლუციის წინადღე. კაპიტალიზმის საერთო კრიზისმა, რომელიც ღრმავდება, მოიცვა მისი ყველა მხარე — როგორც ეკონომიკა, ისე პოლიტიკა. ამ კრიზისის უმნიშვნელოვანესი ნიშნებია: მსოფლიოს გათიშვა ორ სისტემად — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებად; მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის მზარდი გახრწნა და სულ ახალი და ახალი ქვეყნების შემდგომი ჩამოშორება ამ სისტემისაგან; მსოფლიო სოციალისტური სისტემის განუხრელი ზრდა და ამაღლება, მისი ძლიერების განუწყვეტელი გადიდება.

გვიჩვენებდა რა ისტორიული განვითარების შემდგომ გზას ათეული წლებისათვის, ლენინი აღნიშნავდა: „კაპიტალიზმისა და მისი კვალის მოსპობა, კომუნისტური წყობილების საფუძველთა შემოღება შეადგენს მსოფლიო ისტორიის ახლახან დაწყებული ახალი ეპოქის შინაარსს“ (ტ. 31, გვ. 478). გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა ლენინის პროგნოზის მთელი სიმართლე. ლენინის იდეები ჭეშმარიტად გახდნენ პროგრესული კაცობრიობის ფიქრთა მპყრობელნი. ისინი მძლავრ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე.

შრომასა და კაპიტალს შორის, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის წინააღმდეგობათა გაღრმავება არყევს იმპერიალისტური სისტემის საძირკველს. სულ უფრო მკაფიოდ ისახება თანამედროვე კაპიტალიზმის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის კაპიტალიზმის პარაზიტული ნიშნები. საწარმოების ქრონიკული დაუტვირთაობა და მუდმივი მასობრივი უმუშევრობა, საწარმოო შესაძლებლობებსა და მოსახლეობის კლებად გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის გაძლიერება, ეკონომიკის ფართო მილიტარიზაცია, ბურჟუაზიის მოგებისა და მფლანგველობის გიგანტური ზრდა, მუშათა კლასის გაღატაკებისა და ფერმერთა გაჩანაგების უმაგალითოდ გაძლიერება — ყოველივე ეს გარდუვალად იწვევს გამანადგურებელ ეკონომიურ კრიზისებს. გახდნენ რა მევახშე სახელმწიფო და ახორციელებენ რა სხვა ქვეყნების ხალხთა დამონებისა და სისტემატური ძარცვის პოლიტიკას, ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამად მთელი კაპიტალისტური ეკონომიკის დეზორგანიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ. კაპიტალისტური სამყაროს მთავარი ქვეყანა გახდა კაპიტალიზმის ეკონომიურ შერყევათა მთავარი ცენტრი.

დაუძლეველი შინაგანი ძალების მოქმედების შედეგად მიმდინარეობს მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დაშლის პროცესი. ევროპაში ბევრმა ქვეყანამ, ოთხშაბათ ევროპის მთელი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარია, საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი კაპიტალიზმთან და დამკვიდრდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში. ისეთ ქვეყნებში, როგორიც არიან საფრანგეთი და იტალია, კომუნისტურ პარტიებს მიჰყვებიან მშრომელთა მრავალმილიონნიანი მასები, რაც სერიოზული ფაქტორია არა მარტო ამ ქვეყნების შინაგან ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე ევროპის მთელ ვითარებაში. ძლიერდება გერმანელი ხალხის ბრძოლა იმ დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომ დასავლეთი გერმანია გადააქციონ მესამე მსოფლიო ომის კერად, ბრძოლა ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის. ამრიგად, ძველი იმპერიალისტური ევროპა ღრმა და სულ უფრო მზარდ კრიზისს განიცდის.

მსოფლიო ბატონობის ოკეანესგაღმელი პრეტენდენტები ცდილობენ ევროპა, რომელსაც აქვს თავისუფლებისმოყვარული ტრადიციები, კულტურის ფასდაუდებელი განძები, გახადონ ამერიკის იმპერიის ვასალი. ამ ზრახვებს სრული გაკოტრება მოელის. წარმოიშვა, იზრდება და მტკიცდება ახალი თავისუფალი სოციალისტური ევროპა. იგი ისტორიით დაკანონებული მემკვიდრეა მთელი იმ მატერიალური და სულიერი სიმდიდრისა, რომელიც ათასწლობით დაგროვეს ხალხებმა. მას აქვს ეკონომიკისა და კულტურის აყვავების, ადამიანის პიროვნების ამაღლების უსაზღვრო შესაძლებლობანი. და მას ეკუთვნის მომავალი.

მაგრამ კაპიტალიზმის კრიზისი ევროპით რიდი განისაზღვრება. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემადგენელი ნაწილია იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლა, რაც სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ლენინი ეროვნულ-კოლონიური საკითხის უდიდესი თეორეტიკოსია. ლენინის სახელი, ლენინის მოძღვრება იმპერიალისტური და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აზიის, აფრიკის, მთელი აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლის სიმბოლო და დროშაა. ლენინი ისტორიული განვითარების ტემპების დაწყებულ უდიდეს დაჩქარებას იმას უკავშირებდა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ჩინეთი, ინდოეთი, ღელავენ, რომ ახალი ასეულ მილიონობით ადამიანი ამოძრავდა და ამ მოძრაობის შეჩერება არ ძალუძთ ყველაზე ძლიერ და მძლავრ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები „ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც შეუძლებელია შედეგად არ მოჰყვეს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი“ (ტ. 33, გვ. 590). ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ეს წინასწარმეტყველება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი და იმპერიალიზმის უმძიმესი დამარცხება იყო ის, რომ 600-მილიონიანმა ჩინელმა ხალხმა გაიმარჯვა უცხოეთის იმპერიალიზმისა და შინაური ფეოდალური რეაქციის გაერთიანებულ ძალებზე. ამ გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში, მთელი საერთაშორისო ვითარება. კოლონიური ექსპლოატაციის სფერო ერთბაშად შემცირდა თითქმის ერთი მესამედით. თავისუფალი, დიდი ჩინელი ხალხის შემოქმედებითი საქმიანობა, ხალხისა, რომელიც წარმატებით იბრძვის თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცების გრძნობებს იწვევს და აღელვებს კოლონიური აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ადამიანის გონებასა და გრძნობას. **(ტაში).**

ამავე დროს ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ მოიშორეს ძველი კოლონიური რეჟიმი. როგორც გვიჩვენებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ამჟამად მიმდინარე კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილია ამ კონტინენტების 1 მილიარდ 600 მილიონი მოსახლეობა, აღმოსავლეთის თვითეულ ქვეყანას საკუთარი თავისებურებანი აქვს ეკონომიკასა და საზოგადოებრივ მოძრაობათა ფორმებში. მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს იმის წყურვილი, რომ საკუთარ ხალხებს ეცხოვრათ. ეს ბრძოლა ეროვნულ-კოლონიურ საკითხს უდიდესი თეორეტიკოსია. ლენინის სახელი, ლენინის მოძღვრება იმპერიალისტური და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის აზიის, აფრიკის, მთელი აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლის სიმბოლო და დროშაა. ლენინი ისტორიული განვითარების ტემპების დაწყებულ უდიდეს დაჩქარებას იმას უკავშირებდა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არიან ჩინეთი, ინდოეთი, ღელავენ, რომ ახალი ასეულ მილიონობით ადამიანი ამოძრავდა და ამ მოძრაობის შეჩერება არ ძალუძთ ყველაზე ძლიერ და მძლავრ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები „ჩაებნენ ისეთ განვითარებაში, რომელსაც შეუძლებელია შედეგად არ მოჰყვეს მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი“ (ტ. 33, გვ. 590). ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა ეს წინასწარმეტყველება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი და იმპერიალიზმის უმძიმესი დამარცხება იყო ის, რომ 600-მილიონიანმა ჩინელმა ხალხმა გაიმარჯვა უცხოეთის იმპერიალიზმისა და შინაური ფეოდალური რეაქციის გაერთიანებულ ძალებზე. ამ გამარჯვებამ ძირფესვიანად შეცვალა მდგომარეობა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში, მთელი საერთაშორისო ვითარება. კოლონიური ექსპლოატაციის სფერო ერთბაშად შემცირდა თითქმის ერთი მესამედით. თავისუფალი, დიდი ჩინელი ხალხის შემოქმედებითი საქმიანობა, ხალხისა, რომელიც წარმატებით იბრძვის თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობის აღტაცების გრძნობებს იწვევს და აღელვებს კოლონიური აღმოსავლეთის ასეულ მილიონობით ადამიანის გონებასა და გრძნობას. **(ტაში).**

ამავე დროს ინდოეთმა, ინდონეზიამ, ბირმამ მოიშორეს ძველი კოლონიური რეჟიმი. როგორც გვიჩვენებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ამჟამად მიმდინარე კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილია ამ კონტინენტების 1 მილიარდ 600 მილიონი მოსახლეობა, აღმოსავლეთის თვითეულ ქვეყანას საკუთარი თავისებურებანი აქვს ეკონომიკასა და საზოგადოებრივ მოძრაობათა ფორმებში. მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს იმის წყურვილი, რომ საკუთარ ხალხებს ეცხოვრათ. ეს ბრძოლა ეროვნულ-კოლონიური საკითხის

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები საზღვარგარეთ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავთან დაკავშირებით პეკინში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მოიწვია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ხუაიჟენტანის დარბაზში შეიკრიბნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიულ, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის წარჩინებული მშრომელები, საბჭოთა სპეციალისტები, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საელჩოთა წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში ვლადიმერ ილიასძის დიდი პორტრეტია. პორტრეტს აქეთ-იქით აქვს თარიღები 1870 წ. — 1955 წ.

მჭუხარე ტაში გაისმის, როცა პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცეხტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი.

მოხსენება „ლენინის მოძღვრება გარდამავალი პერიოდის შესახებ“ გააკეთა მარქს — ენგელსის ინსტიტუტის დირექტორმა იან სიან-ჯენმა.

* * *

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა

ბუდაპეშტი, 22 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოხსენება გააკეთა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ხეგედიუშმა.

ლენინის სახელი, თქვა მან, განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ხალხის თავისუფლებასთან, მის ბედნიერ მომავალთან.

განთავისუფლების დღიდან გასული 10 წლის მანძილზე ჩვენი სამშობლოს მიერ მიღწეული ყველა წარმატების წყაროა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ახალი უნგრეთი, ჩვენი სახალხო-დემოკრატიული სამშობლო საბოლოო ანგარიშით ლენინური ოქტომბრის პირმშოა.

შემდეგ ხეგედიუში ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იშვა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო, როგორ ვითარდებოდა სსრ კავშირი ლენინის მოძღვრების საფუძველზე, მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლის დაბადების 85-ე წლისთავის დღეს, თქვა მომხსენებელმა, ჩვენ უდიდესი მადლობის გრძნობით ვფიქრობთ ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირზე — ჩვენს განმთავისუფლებელზე, მშვიდობის და კაცობრიობის პროგრესის მედროშეზე. ლენინის მოძღვრება მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საფუძველი იყო და იქნება. ჩვენი პარტია ყველა თავის გამარჯვებას უნდა უმადლოდეს იმას, რომ თავის მოღვაწეობაში იგი ხელმძღვანელობდა ლენინის მოძღვრებით, მარქსიზმ-ლენინიზმით.

მომხსენებელი შეეხო უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარებას. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ მძიმე მრეწველობის წარმოება 1938 წელთან შედარებით გადიდდა 3,5-ჯერ და უფრო მეტად, ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება — ერთიორად და უფრო მეტად.

ასრულებს რა ლენინის მოძღვრებას, განაგრძო ხეგედიუშმა, ჩვენმა პარტიამ მიმდინარე წლის მარტში დაგმო და გადაჭრით უარყო მემარჯვენეოპორტუნისტული შეხედულებანი, რომლებიც გამოიხატებოდა მძიმე მრეწველობის მნიშვნელობის, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლისა და იმ შესანიშნავ გამარჯვებათა შეუფასებლობით, რომლებსაც ჩვენმა მუშათა კლასმა განვლილი წლების მანძილზე მიაღწია პარტიის ხელმძღვანელობით.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განვითარების, მძიმე მრეწველობის განვითარების პოლიტიკა — ასეთია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი ხალხის თავისუფლების დაცვის ერთადერთი შესაძლო გზა.

ჩვენი პარტია და მთავრობა, განაგრძო ხეგედიუშმა, ასრულებდნენ ლენინის კოოპერაციულ გეგმას. ამ გენიალური გეგმის სისწორეს მოწმობს ის ფაქტი, რომ უნგრეთის კოოპერაციულმა მოძრაობამ განვლილი წლების მანძილზე ღრმად გაიდგა ფესვი სოფლად და გახდა მძლავრი სოციალისტურ-ნარიანი მოძრაობა, რომლის საბოლოო გამარჯვებას ვერაფერი ვერ დაუბრკოლებს.

ხეგედიუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო და კვლავ არის უნგრეთის მშრომელთა პარტია. ლენინი, თქვა მან, შემქმნელია ახალი ტიპის პარტიისა — საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა, რომელიც ნიმუშს წარმოადგენდა და წარმოადგენს უნგრეთის კომუნისტებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ აღაფრთოვანა ჩვენი პარტია პროლეტარული რევოლუციის პერიოდში, როცა ლენინმა მისალმებით მიმართა უნგრეთის მუშებს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ეხმარებოდა უნგრეთის კომუნისტებს მათს მძიმე ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდე, განთავისუფლების შემდეგ კი მათს შრომაში ქვეყნის მშენებლობისათვის. ვასრულებთ რა ძღვევამოსილ ლენინურ იდეებს, ჩვენ მთელ ძალოვნეს ვახმართ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩავუყაროთ სოციალიზმს.

ბელადისა და მასწავლებლის ლენინის სახელი მარად ცოცხლობს და იცოცხლებს უნგრელ მშრომელთა გულში.

სამარადისო დიდება უკვდავ ლენინს!

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

გუჟარესტი, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაიმართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი. სხდომას დაესწრნენ ბევრი მეცნიერი, აგრეთვე საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ტრაიან სავულესკუმ გააკეთა მოხსენება ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. მოისმინეს აგრეთვე მოხსენებანი „სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პრინციპები“, „ვ. ი. ლენინი მეცნიერებაში იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის შთამაგონებელი“.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 21 აპრილი. (საკდესი). მონღოლეთის ყველა ქალაქში, აიმაკში, სომონში, ბაგსა და სამომთბარო ბანაკებში ფართოდ აღნიშნავენ მშრომელი კაცობრიობის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით ყველგან ეწყობა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები. უმაღლეს სასწავლებლებში იმართება თეორიული კონფერენციები ლენინის ცალკეულ ნაწარმოებთა შესახებ.

გუშინ ულან-ბატორის ელდებ-ოჩირის სახელობის კინოთეატრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ფოტოგამოფენა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გამოფენის გახსნას დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

საფრანგეთი

პარიზი, 22 აპრილი. (საკდესი). გუშინ პარიზის დარბაზ „მიუტიუალიტეში“ გაიმართა მშრომელთა საზეიმო კრება, მიძღვნილი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისადმი. დარბაზში შეიკრიბნენ პარიზის ქარხნების მუშები, ინტელიგენციისა და სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტთა წარმომადგენლები. სცენაზეა ვ. ი. ლენინის დიდი პორტრეტი. პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ჟაკ დიუკლო, ჟანეტა ვერმერში, რაიმონ გიუიო, ვალდეკ როშე, შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ბენუა ფრაშონი და საფრანგეთის სხვა პროგრესული საზოგადო მოღვაწენი.

კრება გახსნა ჟაკ დიუკლომ, რომელმაც წარმოთქვა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოკლე სიტყვა. ლენინიზმი ცოცხლობს და იმარჯვებს, თქვა დიუკლომ. მისი დროშით 800 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიაღწია კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებას. ხალხები, რომლებსაც ჯერ კიდევ გუშინ კოლონიური უღელი ედგათ, თავისუფლებას პოულობენ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს ლენინს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ახალი ტიპის პარტიის — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნაში.

ტაშის გრიალში დიუკლომ დასასრულ განაცხადა: ამხანაგებო, ლენინის აზრი მარად იცოცხლებს მთელი მსოფლიოს მუშათა მასებში.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მარსელ სერვენმა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე

ბანდუნგი, 21 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). კომუნიკეში პოლიტიკური კომიტეტის 20 აპრილის სხდომის შესახებ ნათქვამია, რომ დელეგაციების მეთაურებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა საკითხი და პოლიტიკური პრობლემები.

ეკონომიურმა კომიტეტმა დღეს დაამთავრა განხილვა თავისი დღის წესრიგის ხუთი საკითხიდან ორი საკითხისა: ეკონომიკის განვითარებაში თანამშრომლობის შესახებ და ვაჭრობის დარგში თანამშრომლობის შესახებ. კომუნიკეში, რომელიც კომიტეტმა გამოქვეყნა, ნათქვამია, რომ მუშაობის შემუშავებული გრაფიკის თანახმად კომიტეტი შეძლებს 22 აპრილს განიხილოს პროექტი თავისი მოხსენებისა კონფერენციის პლენარული სხდომისადმი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაის დინჯ, საქმიან, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ნამდვილი თანამშრომლობის დამყარებისადმი მისწრაფებით გამსჭვალულ სიტყვას 19 აპრილის პლენარულ სხდომაზე დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ კონფერენციის დელეგატები და ჟურნალისტთა წრეები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ამერიკელ კორესპონდენტებსა და პროამერიკელ დელეგატებს, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ კონფერენციის მონაწილეებს შორის „დაუძლეველი უთანხმოების“ წარმოშობაზე. ჯოუ ენ-ლაის გამოსვლამ კეთილგანწყობილი გამოხმაურება გამოიწვია აგრეთვე ინდონეზიის პრესაში, რომელიც აღნიშნავს, რომ ახლა არის რეალური შესაძლებლობა მიღწეულ იქნას შეთანხმებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართული იქნება კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისადმი.

გაზეთმა „ინდონეზიან ობსერვერმა“ მოათავსა სარედაქციო სტატია, რომელშიც საკადრის პასუხს აძლევს ფილიპინების დელეგატს რომულოსა და ერაყის დელეგატს ჯამალის იმისათვის, რომ მათ სცადეს განხეთქილება შეეტანათ კონფერენციის მუშაობაში. დაუშვეს რა მთელი რიგი გამოხდომები სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ. ფილიპინებსა და ერაყს, აღნიშნავს გაზეთი, შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი აზრი კომუნიზმის შესახებ, „მაგრამ ეს უადგილოა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე“. „დასავლეთის სახელმწიფოებს, — ნათქვამია შემდეგ მოწონავენი, — როგორც ჩანს, ჰყავთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ამ კონფერენციაზე თავიანთი ქომაგები. სამწუხაროდ, ერაყი და ფილიპინები გამოდიან როგორც დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესების გამომხატველნი, თავს ესხმიან რა კომუნიზმს, რაც ჩრდილავს კონფერენციის ძირითად ამოცანას“.

„ჩვენ უნდა გავაერთიანოთ, — წერს დასასრულ გაზეთი, — მთელი ჩვენი ღონისძიებანი იმისათვის, რომ მივაღწიოთ მთავარ მიზანს — უკეთეს ურთიერთგაგებას მეზობელ სახელმწიფოებს შორის იმ გზით, რომ შევინარჩუნოთ მშვიდობა და უზრუნველვყოთ აზიისა და აფრიკის ქვეყნების დამოუკიდებლობა აწმყოსა და მომავალში“.

ბანდუნგი, 21 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე გრძელდებოდა პოლიტიკური კომიტეტისა და ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის საკითხთა კომიტეტების დახურული სხდომები.

ეკონომიური თანამშრომლობის საკითხთა კომიტეტის სხდომის შესახებ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კომიტეტმა დაამთავრა თავისი დღის წესრიგის ყველა საკითხის განხილვა, მათ შორის ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხისა. 22 აპრილს კომიტეტი განიხილავს მოხსენებას, რომელიც წარედგინება კონფერენციის პლენარულ სხდომას.

კომიტეტების დახურულ სხდომებთან ერთად წარმოებს დელეგაციების ცალკეულ მეთაურთა არაოფიციალური შეხვედრები.

ბანდუნგი, 21 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა პალესტინის საკითხის, თვითგამორკვევის საკითხის, რასობრივი დისკრიმინაციისა და რასობრივი პრობლემების საკითხის განხილვა, აგრეთვე განიხილა დასავლეთ ირიანის, ალჟირის, მაროკოს და ტუნისის დამოკიდებულ ხალხთა პრობლემები.

22 აპრილს კომიტეტები მუშაობას განაგრძობენ. ბანდუნგს ჩამოსულმა მალაიის მოქმედების სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა ვუდჰელმა და ისმაილმა გამოაქვეყნეს ტექსტი მემორანდუმისა, რომლითაც მათ მიმართეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის დელეგატებს და მოუწოდეს მათ მიიღონ ღონისძიებანი მალაიაში სამარი მოქმედების შესაწყვეტად და მალაიელი ხალხისათვის დამოუკიდებლობის მისანიჭებლად. ვუდჰელმა და ისმაილმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კონფერენციამ „ყოველმხრივი ყურადღება უნდა მიაქციოს მალაიის მშვიდობისა და დამოუკიდებლობის საკითხს“, რამდენადაც „ეს საკითხი ეხება არა მარტო მალაიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ხალხებს, არამედ აგრეთვე აზიისა და აფრიკის ყველა ხალხს, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებით“. „ახლა განსაკუთრებით დადგა დრო იმისათვის, რომ მოწესრიგდეს მალაიის საკითხი. — ნათქვამია შემდეგ მემორანდუმში, — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის ძალაში შესვლის შემდეგ, განსაკუთრებით ბანგკოკის თათბირის შემდეგ, მალაია სწრაფად იქცევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკის წევრ სახელმწიფოთა სამხედრო ბაზად. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სტრატეგიულად ცენტრალურ რაიონში მდებარე ასეთ სამხედრო ბაზას შეიძლება მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვეს ამ რაიონის ქვეყნებისათვის, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ სანამ მალაია არ განთავისუფლებულა კოლონიური ბორკილისაგან, იგი მუდამ იქნება პაიკი სახელმწიფოთა პოლიტიკაში და მისი მეზობლებისათვის საფრთხის პოტენციური წყარო“.

მალაიის მოქმედების სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა მოუწოდეს კონფერენციას გამოაქვეყნოს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც დაგმობს კოლონიურ ბატონობას საერთოდ, და გადადგას კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში ქვეყნებს, რომლებიც ჯერ კიდევ იჩაგრებიან კოლონიურად. კერძოდ, ვუდჰელმა და ისმაილმა კონფერენციას წარუდგინეს მალაიაში სამარი მოქმედების შეწყვეტის პროგრამა. ეს პროგრამა ითვალისწინებს: 1) ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის გამოცხადებას; საგანგებო წესების კანონების გაუქმებას; სამარ მოქმედებაში მონაწილე პირების დევნისაგან განთავისუფლების გარანტიას, ყველა პოლიტიკური დამნაშავის განთავისუფლებას, რომლებიც მსჯავრდადებული არიან საგანგებო წესების კანონებით; მოლაპარაკების დაწყებას მალაიაში ცეცხლის შეწყვეტის სრული განხორციელების შესახებ; 2) ღონისძიებათა მიღებას, რომ ძალაუფლება გადაეცეს დროებით მთავრობას, რომელსაც შექმნიან ძირითადი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობენ; მზადებას თავისუფალი და საყოველთაო არჩევნებისათვის მასში საერთაშორისო კონტროლით მთელი მოზრდილი მოსახლეობის მონაწილეობის საფუძველზე; მალაიისა და ინგლისის მომავალი ურთიერთობის განსაზღვრას იმ ახალი საკანონმდებლო ორგანოს ნების შესაბამისად, რომელიც არჩევნების შედეგად შეიქმნება.

კომუნიკე ბანდუნგის კონფერენციაზე დელეგაციათა მეთაურების სხდომის შესახებ

პეკინი, 21 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ბანდუნგიდან იუწყება, გუშინ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე დელეგაციათა მეთაურების სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ დელეგაციების მეთაურებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა საკითხი და პალესტინის საკითხი. დელეგაციების მეთაურები კვლავ შეიკრიბებიან სხდომაზე 21 აპრილს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომები

ლონდონი, 21 აპრილი. (საკდესი). გუშინ ინგლისის წარმომადგენლის ნატინგის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა. დღეს გაიმართება მორიგი სხდომა.

პრეზიდენტ ჯიჯოს განცხადება

პარიზი, 20 აპრილი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, 20 აპრილს სოციალისტური პარტიის გაზეთმა „პეპლმა“ გამოაქვეყნა იუგოსლავიის პრეზიდენტის ტიტოს ინტერვიუ, რომელიც მან ამ გაზეთის პოლიტიკურ დირექტორს მისცა. ტიტომ კერძოდ, განაცხადა: „ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ჩვენ მოგგელის, ის არის, რომ მსოფლიო გათიშულია ბლოკებად“. მისი აზრით, მშვიდობისათვის ხელის შეწყობის ერთადერთი საშუალებაა „დამშვიდების აქტიური პოლიტიკა, რომელსაც უნდა მოჰყვეს თანაარსებობა. თანაარსებობის აუცილებელი საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევის აკრძალვა, რათა მივაღწიოთ ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ თანამშრომლობას მსოფლიო მასშტაბით“.

„თუ მთელი რიგი სახელმწიფოები, — განაცხადა მარშალმა ტიტომ, — ყოველდღე გვიჩვენებენ თანაარსებობის მაგალითს, ეს იქნება საქმიანობა ნამდვილი მშვიდობის სასარგებლოდ“.

მარშალმა ტიტომ შემდეგ განაცხადა, რომ საჭიროა, რათა „პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 24 მარტის წინადადება, რომელშიც იგი რჩევას იძლევა მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი და რომელსაც მხარი დაუჭირა მარშალმა ბულგანინმა, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს“. ამაო იქნება, თქვა მარშალმა ტიტომ, „განიარაღების საკითხების განხილვა, თუ არსებული პრობლემები, რომლებიც ორ ბლოკს თიშავს, მშვიდობიანი გზით არ მოწესრიგდა“.

შეეხო რა გერმანიის გაერთიანების საკითხს, იუგოსლავიის სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა, რომ საჭიროა „მივცეთ გერმანელ ხალხს საშუალება თვითონ თქვას თავისი სიტყვა“. იგი, რა თქმა უნდა, იპოვნის „დემოკრატიის თავის საკუთარ ფორმას, რომელიც შესაძლოა, არ იყოს წმინდა დასავლეთური ან წმინდა აღმოსავლეთური“.

პინე ლონდონს გაემგზავრა

პარიზი, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პინე ლონდონს გაფრინდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ მაკმილანთან მოსალაპარაკებლად. როგორც ფრანს პრესის საგენტო იუწყება, პინე შეხვდება აგრეთვე პრემიერ-მინისტრ იდენს.

ამ დღეებში მახარაძის რაიონში ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია. სტუმრებს მახარაძელმა კოლმეურნეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ეს შეხვედრა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. სურათზე: უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაციის ერთი ჯგუფი მახარაძის რაიონში.

ფოტო შ. ალექსანდრესისა.

მახარაძის სახელოგის ქუჩა ქალაქ გენიჩესკში

საქართველოს სსრ მახარაძისა და უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონების კოლმეურნეებისა და მექანიზატორების ძმური მეგობრობის აღსანიშნავად მშრომელთა დეპუტატების გენიჩესკის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ გენიჩესკის „ბაკოკოის ქუჩისათვის მახარაძის ქუჩის დარქმევის შესახებ.

მახარაძის ქუჩაზე გენიჩესკში მოთავსებულია რაიონის ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობის „ვოლნა რევოლუციის“ გამგეობის კანტორა. ეს კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობასთან.

გენიჩესკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებით შეხვდნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის ამ გადაწყვეტილებას, რომელშიც ისინი ხედავენ ორი მოძმე ხალხის — უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ახალ გამოხატულებას.

ი. ლოშაკი,
ხერსონის გაზეთ „ნადდნიპრიანსკა პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი.

სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე სასპორტო სეზონში გაიმართება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადა.

სპარტაკიადა დაიწყება ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. ამის შემდეგ მოეწყობა რაიონული, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. ფინალური შეხვედრები გაიმართება ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ოდესაში. დასკვნით ასპარეზობაში დაშვებული იქნებიან ის სპორტსმენები, რომლებსაც ექნებათ არანაკლებ მეორე სპორტული თანრიგისა.

სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, სროლა, კლასიკური ჭიდაობა, ფეხბურთი, ფრენბურთი.

საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპარტაკიადაში გამარჯვებული გუნდისათვის დააწესა გარდამავალი პრიზი. სპორტსმენები, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ, დაჯილდოებულ იქნებიან ბრინჯაოს medlebit.

„ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება

დაიწყო „ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება ფეხბურთში სსრ კავშირის 1955 წლის პირველობაზე. პირველი მატჩების შედეგები ასეთია:

პირველი ზონა — „პიშჩევიკი“ (ოდესა) — „სპარტაკი“ (ვინნიცა) 0:2, „მეტალურგი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (მოსკოვის ქვანახშირის აუზი) 0:2, ოფიცერთა სახლი (ლვოვი) — „სპარტაკი“ (კალინინი) 1:5, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)—„დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) — ოფიცერთა სახლი (კიევი) 1:1, ოფიცერთა სახლი (სევასტოპოლი) — „დინამო“ (ტალინი) 0:0, „სპარტაკი“ (უფგოროდი) — „კრასნოე ზნამია“ (ივანოვო) 0:0.

მეორე ზონა — „ტორპედო“ (დონის როსტოვი) — „ტორპედო“ (გორკი) 0:6, „ენერგია“ (სარატოვი) — ჭ. მოლოტოვის გუნდი 0:2, ოფიცერთა სახლი (სვერდლოვსკი) — „ტორპედო“ (სტალინგრადი) 3:0.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 24 და 25 აპრილს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი. დასავლეთის ჭარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა. დასავლეთ რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, აღმოსავლეთ რაიონებში უმეტესად უნალექოდ. დასავლეთის ჭარი 3-7 მეტრი წამში, მტკვრის ხეობაში 10-15 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ღ ღ ე ს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ფაუსტი და ვალპურგის ღამე, **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — პორტ-არტური, **სომხური დრამის** — საიათნოვა, **მუსიკალური კომედიის**—სალხინობელი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 27, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — კარაზანა (7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, პლეხანოვისა და გორკის სახელობის კლუბები — საყვარელი მეგობარი, **ოფიცერთა სახლი, 26 კომისრის სახელობის** — ბოტომშენი, **კომკავშირელი** — ქარიშხალი, **კოლხიდა** — ჯაშუშების ქსელი, **ისანი**— მიედინება მღვრიე წყლები, **დიდუბე** — უმზითვო, **კოლმეურნე** — ჭრიჭინა, **კიროვის სახელობის პარკი** — თეთრი ფაფარი და არგენტინიდან მექსიკამდე.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

24 აპრილს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობა
„ბ“ კლასი
ქ. კალინინგრადის გუნდი
(მოსკოვის ოლქი)
ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი
(ქ. თბილისი)
დასაწყისი 5 ს. და 30 წ.
ბილეთები იყიდება დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე
მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახცირკის ხუმარა
კონსტანტინე ბერმანი
კლოუნების ჯგუფით
ძალოსანთა ატრაქციონი
მსოფლიოს რეკორდსმენი
გრიგოლ ნოვაკი
გასტროლები
და განახლებული დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად.
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას 24 აპრილს
დღის ორი საბავშვო წარმოდგენა
დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.
ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და № 24, ჩელუსკინელების ქ. № 31.
მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

УЭ 00189

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.